ოთხშაბათი 17 ივნისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე … შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი … განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 106 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 106

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა"

ტელეფონი № 76.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ს ა მ შ ო ბ ლ ო"

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

ტელეფონი № 76.

გაზეთის ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

## ბათომის ქალაქის თავი

ბათომიდან გასულ ამომრჩევლებთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ მოქალაქეთა ამომრჩევლებს, რომელნიც შეტანილი არიან საბოლოოთ შედგენილ სიაში და გასული არიან ბათომიდან, უფლება ეძლევათ დაუბრკოლებლივ დაბრუნდენ ბათომში საარჩევნო კრებაზე დასასწრებლათ 21 ამა ივნისს, ხოლო ქალაქში შესასვლელათ ნებართვა უნდა გამოეთხოვოს მიხეილის ციხის კომენდანტს პირდაპირ, ან ბათომის ქალაქის თვითმართველობის საშუალებით.

3—1

ძმათა ჟორჟოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა"

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

## ა ბ ა ნ ო.

ს. ზეკარში, ბაღდათიდან 22 ვერსის მანძილზე 16 ივნისიდან იწყებს წარმოებას გოგირდის თბილი წყლიანი აბანო, მშვენივრად მოწყობილი ვანებითა და ოთახებით. აბანო მდებარეობს დიდებულათ შემკობილს ბუნებით ადგილზე, მშვენიერის ტყის პირში დიდ გზაზე. 10 ივნისიდან ბაღდათიდან ივლის 3 ცხენიანი, რიზინის თვლებიანი ეტლი, ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღეს. აბანოს ახლავს ახლო სოფელი და დუქანიც, სადაც იშოვება ყოველივე სანოვაგე. წყალი სამაგალითოდ მოქმედებს ავათმყოფებზე. უმეტესად ურმით მოყვანილი ავათმყოფი, რამოდენიმე ბანაობის შემდეგ, ბრუნდება უკან ჯანსაღი, ფეხით. აბანო კურნავს ნერვების სისუსტეს, რევმატიზმს, ვენერიულ ავათმყოფობას, ჰაჭების ტკივილს, ტანის ქავილს და სხვას.

აბანოს მოიჯარადრე ად. დვალაძე. თ.

ქუთაისის ქართ. დრამატ. საზოგად. გამგეობა აუწყებს ამა საზოგადოების წევრთ, რომ **გაგრძელება საზოგადო კრებისა** დანიშნულია ქალაქის საბჭოს დარბაზში დღეს, 17 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საზოგადოების გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნების მოსახდენათ.

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**ექიმი** რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი.

**ექიმი** ე. ტ. მულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.

კბილის ექიმები

**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.**

ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

გაბრიელ იოსების ძე

**ექიმი გოკიელის**

ელექტრონისა და სინათლის

კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ელექტრო „რადიუმი" თეატრი

ორშაბათიდან, 15 ივნისიდან ახალი საუცხოვო პროგრამა:

**გომონის ქრონიკა.**

თანამედროვე ცხოვრებიდან სენსაცია მესამე და უკანასკნელი სერია

## საშა სემინარისტი

მესამე სერია „რუს ქურდებთა ბრბო" 4 მოქმედებათ.

მოსკოველ ყაჩაღთა ატამანის მოქმედებანი.

## მაქსიმე თეატრში

ძლიერი კომიკური სურათი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ანონსი: საზაფხულო შენობაში. ხუთშაბათიდან, 18 ივნისიდან, ნაჩვენები იქნება ანონსი:

მეორე სერია მეორე სერია

## ომი და მშვიდობიანობა.

სრული მხატვრული ილიუსტრაცია ლ. ტოლსტოის პოემისა, ხუთ ნაწილათ. დადგმულია ვ. გარდინისა და ი. პროტოზანოვის ხელმძღვანელობით.

ნაწ. 1. სამშობლოს ომის წინ. ნაწ. 2. თ. ან. ვოლკონსკი. ნაწ. 3. მომავალი მასსონი. ნაწ. 4. ბრძოლა აუსტერლიცთან. ნაწ. 5 ტილზიტის ზავი. მონაწილეობენ სახელოვანი ძალები: ო. პრეობრაჟენსკაია, ე. უვაროვა, შილინგი, ვოვშეკი და სხ.

## საზამთრო შენობაში.

ხუთშაბათიდან, 18 ივნისიდან, ახალი პროგრამა:

**ჯადო ქვა.**

დრამა 3 ნაწილათ.

მოქმედება სწარმოებს ინდოეთში და ინგლისში.

სამხედრო ქრონიკა.

სკობელევის კომიტეტის გამოცემა № 14. „რადიუმის" მონოპოლია.

**ხონთქარი ერთი საათით.**

მხიარული კომედია 2 ნაწ.

ანნა ლუარსაბის ასული ქავთარაძისა და ელისაბედ ლუარსაბის ასული მეძმარიაშვილი 1 ენკენისთვეს 1915 წ., გენერლის ქუჩაზე, ნიკოლოზ ზაალის ძის ბადრიძის სახლში ხსნიან

ქალ-ვაჟთა მოსამზადებელ **სკოლას**

**საგავშო ბაღით.**

სამოსწავლო გადასახადი 10 მანეთი თვეში.

ბავშების მიღება დაიწყება 20 მარიამობისთვიდან.

ОПЫТНАЯ УЧИТ. ИЩЕТЪ УРОКОВЪ.

Старо-Полицейская, домъ Купрашвили.

კერძო ექიმი მიხეილ კაშია

კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას. ღებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

**გემის** მ. მ. კოხრეიძე

უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

## ომი

(პეტ. ტელ. სააგენტოსაგან).

**პეტროგრადი.** ოფიციალური. 14 ივნისი. გენერალურ შტაბის მთავარ გამგეობისაგან. სამხედრო მოსაზრებით საჭირო იყო უარი გვეყო გამოქვეყნებინა ოფიციალური ცნობების დაწვრილებითი მოხსენება კერძო პირთა სიგმირის და ვაქვეყნებთ მხოლოდ იმ პირთა სიგმირეს, რომლებიც დაჯილდოვებული იყვნენ წმინდა გიორგის ორდენებით.

დღეს დღეობით სამხედრო მოქმედების საიდუმლო კარგავს თავის მნიშვნელობას და ამისათვის საშუალება გვეძლევა გამოვაქვეყნოთ ის ცნობები, რომლის სინამდვილე დამოწმებული იქნება ჯარის უფროსების მიერ. აღსანიშნავია ჩვენი ჯარისკაცთა სულის სიძლიერე, რომელნიც არავითარ მსხვერპლს ერიდებიან მიზნის მისაღწევათ, რასაც გვიმტკიცებს ჩვენი ჯარის უფროსების ყველა მოხსენებანი.

**პეტროგრადი.** 15 ივნისი. ოფიციალური. უმაღლესი მთავარ-სარდლის ჯარის შტაბიდან. ვისლის მარცხენა ნაპირზე ოჟაროვის რაიონში სასტიკი ბრძოლა გრძელდებოდა მთელი ღამის განმავლობაში 15 ივნ. ამ ბრძოლის შედეგი ის იყო, რომ მტერი დიდის ზიანით გავდევნეთ. მტერი განსაკუთრებით მედგარი იერიშებით მოდიოდა გლინიანზე. აქ კონტრ-იერიშების დროს ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები ავსტრიის მეოთხე დივიზიის ყველა პოლკებისა. უკანდახეული მტერი შემდეგ დღეს მოქმედებას აღარ განაგრძობდა. მტრის შეტევა ტომაშევთან და კამენკასთან გრძელდება. გნილალიპისკენ დახევის დროს 13 ივნ. ბუკაჩევიც-გალიჩის ფრონტზე ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

### კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 15 ივნისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 13 ივნისს ზღვის პირის გზით ოსმალონი სცდილობდენ იერიშის მიტანას ჩვენი მარცხენა ფრთის წინააღმდეგ. იერიში მოვიგერიეთ, ოლთისის გზით, ტორტუმ-ღელის რაიონში, ოსმალონი შეეცადენ იერიშათ მისულიყვენ ჩვენი როტის წინააღმდეგ, მაგრამ დროზე მოვიგერიეთ.

გეიდანის მთასთან მტერმა ნისლით ისარგებლა და ჩვენ სანგრებს ჯერ 800 და შემდეგ 400 ნაბიჯით მიუახლოვდა. ჩვენ მარჯვეთ დავხვდით და უკუვაქციეთ. გეიდანის პირდაპირ დავთვალეთ 1000-ზე მეტი ოსმალოთა გვამი. მელაზგერტის გზით ჩვენმა რაზმმა დუტახიდან ქურთები განდევნა და ტყვეთ წამოიყვანა ქურთების მე-15-ე პოლკის უფროსი. დანარჩენ ადგილებზე ცვლილება არ მომხდარა.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 14 ივნ. ჩრდილოეთის ფრონტზე და არც ცენტრში ცვლილება არ მომხდარა. ბელგიაში და არასის ჩრდილ. არტილერიის ცხარე სროლა იყო. დამტკიცდა, რომ 13-სა და 14-ს კოლონის სანგრებში მომხდარი ბრძოლა მეტათ მკაცრი იყო, გერმანელები მდუღარე სითხით სარგებლობდენ. მათ შესძლეს წინანდელ სანგრების ხაზის დაკავება, მაგრამ შემდეგ დიდის ზიანით გავდევნეთ, ჩვენ შევინარჩუნეთ გერმანელთა სანგრების პირველი ხაზი და აგრეთვე მეორე ხაზის ნაწილიც. გუშინ მტემა დაიკავა სანგართა ხაზის 120 მეტრის ნაწილი, მაგრამ ეს ნაწილი, ჩვენ ღამით უკან დავიბრუნეთ, გარდა 30 მეტრისა, არტილერიის ბრძოლა როგორც ამ რაიონში, ისე ფლირის ჩრდილოეთით და ლაგესთან მეტათ მკაცრი იყო. სენდიეში გერმანიის ჰაეროპლანმა ჩამოაგდო ორი ყუმბარა, მოკლულია ერთი ქალი.

**პარიზი.** 15 ივნ. ჩრდილოეთის რაიონში ცვლილება არ მომხდარა, გერმანელებმა შესძლეს გამაგრება აბლენ-ანგრის გზაზე; სუშეს ჩრდილოეთით 200 მეტრის ფრონტზე არტილერიის ბრძოლაა ნევილსა და ანგრს შუა. უაზასა და ენს შუა მთელი ღამე მოძრაობა იყო, განსაკუთრებით კენვიერთან, აქ გერმანელთა მცა-

რე რიცხოვანი რაზმი ცდილობდა სანგრიდან ამოსვლას, მაგრამ ადვილათ მოვიგერიეთ, ბაგატელთან გერმანელებმა სასტიკი იერიში მიიტანეს, მაგრამ ცხარე ბრძოლის შემდეგ მოვიგერიეთ, მაასის მარჯვენა ნაპირზე, კოლონის სანგრებთან მთელი ღამე ცხარე ბრძოლა იყო. აქ ჩვენ შევინარჩუნეთ მთელი ჩვენი პოზიცია, და ის ადგილები, რომელნიც წარსულ დღეებში დავიკავეთ. ლოტარინგიაში მტერი არაკურს ცეცხლის მოსაკიდებელ იარაღებს ესროდა, ჩვენმა მფრინავებმა 12 ივნ. ოცამდე ყუმბარა ჩამოყარეს, სხვათა შორის 10 დუეში. დუეს სადგური, როგორც ეტყობა, ძლიერ დაზიანდა.

### იტალიის ასპარეზი.

**რომი.** 14 ივნ. ტიროლ-ტრენტინოს რაიონში რამე თვალსაჩინო ცვლილება არ მომხდარა. ჩვენმა ალპის მსროლელთა რაზმმა გააფუჭა გარდას ტბაზე ჰიდრო-ელექტრონის სადგური. კარნიაში მტერი უშედეგოთ ცდილობდა ცელენკოფელის სიმაღლეს დაკავებას. მონტენეს რაიონში ავკრიფეთ 200 თოფი, 20,000 პატრონა და ორი ყუმბარის მტყორცნელი, იზონცოს ფრონტზე შევნიშნეთ, რომ მტერი მხამიან გაზს ხმარობს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**რომი.** მეკის მოადგილეს განკარგულებით სასტიკათ აკრძალულია ყოველგვარი ცნობა და ლაპარაკი შესახებ სამხედრო მოქმედებისა და სახელმწიფოს თავ-დაცვისა, რომელიც არ შეეთანხმება მთავრობისა და ჯარის უფროსების განცხადებას. „ნოვ. ვრ“.

იმ უკმაყოფილების გამო, რომელიც ებრაელთა განდევნამ გამოიწვია პრესასა და საზოგადო მოღვაწეებში, რუმინიის მთავრობამ თავ-გასამართლებლათ გამოაცხადა, რომ განდევნილი იყვნენ რუმინიიდან მხოლოდ უცხო სახელმწიფოს ებრაელები და ის რუმინიის ქვეშევრდომნი, რომლებიც სწევდენ სპეკულიაციას საზღვარზე და აგზავნიდენ სანოვაგეს ავსტრიაში. მთავრობა არწმუნებს საზოგადოებას, რომ დანარჩენ ადგილის მცხოვრები ებრაელები რუმინიაშივე დარჩებიანო.

### ღალატი ზენ. დევეტისა.

ბლუმფონტენიდან იუწყებიან, რომ დევეტს მიუსაჯეს 6 წლით ციხეში დაპატიმრება და 2000 გირვანქა სტერლინგი ჯარიმა.

**კიევი.** გალიციიდან ჩამოიყვანეს 200 ზე მეტი საფოსტო მტრედი, რომლებიც უნახეს გალიციის მცხოვრებლებს. მტრედების საშუალებით ვენაში იგზავნებოდა ყოველგვარი ცნობა. „დენი“.

### ავსტრო გერმანიის ოპერაცია.

გაზეთი „დენის“ აზრით უმაღლესი მთავარ სარდლის განცხადება, რომ 10 ივნისს რუსის ჯარმა დასტოვა ლვოვი და ახალ ფრონტზე გადვიდა. ეს რუსის. საზოგადოებისარვის არ წარმოადგენდა მოულოდნელს ამბავს.

ავსტრო-გერმანელთა ჯარის თავის მოყრა ჟოლკიევის რაიონში ისეთს დიდს საფრთხეს წარმოადგენდა, რომ დროზე არ გამოესწრო ჩვენ ჯარს ის სულ ადვილით გარშემორტყმული იქნებოდა მოწინაამდეგეთა ჯარით. ჩვენი სამხედრო ავტორიტეტების აზრით, ამბობს გაზეთი, ლვოვის აღებით გალიციის ოპერაციები კიდევ არ ჩაითვლება დასრულებულათ.

ჩვენი ჯარი წინაამდეგობის გასაწევათ საკმარის ღონეს იჩენს, და რუსის საზოგადოებამ ის ზნეობრივათ უნდა გაამხნევოს. ჩვენი სამხედრო სპეციალისტები მტკიცეთ დარწმუნებული არიან, რომ ჩვენი მდგომარეობა რამდენიმე ხნის განმავლობაში გაუმჯობესდება და გამაგრდება. ირწმუნებიან, რომ მახლობელ მომავალში მტრის ძალები თავს მოიყრიან ლვოვის მაგეროვ-ჟოლკოვის ფრონტე და იერიშს აღმოსავლეთისაკენ მიიტანებენ, სადაც მოქმედება გაშლილ მინდორში დაიწყება, რისთვისაც ჩვენი არტილერია ემზადება. დგება მომენტი ჩვენი ცხენოსან ჯარს ფართო მოქმედებისა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ყველა გუბერნატორს შემდეგი ცირკულიარი გაუგზავნა:

თანახმათ შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრების განცხადებისა პირველ ხარისხის სათადარიგო ჯარის სტუდენტებს, რომელსაც მოწმობა აქვთ პირველი 6 თვის უნივერსიტეტის კურსის მოსმენისა-1915 წ. სახელმწიფო ეგზამენის ჩასაბარებლათ ჯარში გაწვევის დრო შემოდგომის საეგზამენო დრო გათავებამდე გაუგრძელდესთ.

### მართმადიდებელი სამღვდელოება გალიციაში.

რუსის მართმადიდებელი მღვდლები დანიშნულნი გალიციის ახალ გახსნილ სამრევლოში, მტრის იერიშის მიტანის დროს დაბრუნებულ იყვნენ თავის სამრევლოებში.

### ახალი რკინის გზები.

სახელმწიფო საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე განხილული იყო მთელი რიგი პროექტებისა ახალი რკინის გზის ლიანდაგის გასაყვანათ. სხვათა შორის, ნება დართეს გაიყვანონ შემდეგ შტოზე: ჩასოვ-იარკაია სამხრეთ რკ. გზაზე., სადგურ ტამბოვიდან რიაზანო-ურალის რკ. გზაზე პოროხოვის ქარხანამდი. როგოზენის შტოზე სამხრეთ რკ. გზაზე, სპიჩინეცკაია სამხრეთ-დასავლეთის რკ. გზა. ტურაი-კულსკაია ომსკის რკ. გზ. და კუვაკინსკაია სიზრანოვიაზემკის რ. გზ. მინერალურ წყლებისაკენ.

ვლადიკავკავის რკ. გზ. საზოგადოებას ნება მიეცა აღადგინოს ტემერდინსკის შტო სადგურ ნევინნომისსკიდან სადგურ მატალპამინსკზე მდინარე მეხას ტეშერდეში შესართავამდე, სადაც საზოგადოება ფიქრობს სანატორიუმის აგებას, სასტუმროსი და სხვა. „დენი“.

### მოწოდება.

გალიციის პარტიის ლიდერი ვლ. ტეტმაიერი ერთს პოლონელ გაზეთში ამერიკაში მოუწოდებს ყველა პოლონელს, რომ სამშობლოში დაბრუნდენ და ყველა თავისი ძალ ღონით და საშუალებით ხელი შეუწყონ ეკონომიურათ განადგურებული ქვეყნის აღდგენას. „რეჩი“.

**კოპენჰაგენი.** იტალიის ოსმალეთისადმი გამოურკვეველი პოლიტიკა ამ ბოლო დროს დასრულდა. დიდძალი საზღვაო ძალა დანიშნულებისამებრ ტარანტოდან გაემგზავრა ტენედოსისაკენ, სადაც ისინი შეუერთდებიან ინგლის-საფრანგეთის ფლოტს.

### ანტი-იაპონიური აგიტაცია ჩინეთში.

ანტი-იაპონიური აგიტაცია ჩინეთში თან და თან იზრდება. ამ მიზნით დიდს ენერგიას იჩენს პატრიოტიული საზოგადოება პეკინში.

ამ საზოგადოებამ გამოსცა ამ დღეებში ახალი სერია პროკლამაციებისა, რომელშიაც მოუწოდებს ჩინეთის მოვაჭრეთა წრეს იაპონიის საქონელთა ბოიკოტისათვის, ქვეყნის შეიარაღებისათვის და ახალგაზდების სამხედრო ხელოვნების შესწავლაში.

### მანჯურიის შეიარაღება.

მანჯურიაში შეიარაღება ძლიერდება. ხაიჩონში ჩინეთის მთავრობამ 20.000 კომპლექტი ტყვები გაგზავნა. კანში—37000 და კუანჩენში 10.000.

მოხალისეები სახელმწიფო თოფებით ირაზმებიან.

## „ნაფლეთების პარტია“

„სახალხო ფურცელს“ მეწვრილმანის ფსიხოლოგია აქვს.-როგორ გაბედე შენ ჩემ ქუჩაზედ საწვრილმანოს გახსნაო, ეუბნება იგი „საქართველოს“. მეორე მისი ჩვეულება უფრო საძაგელია—ვინა ხარ, რა გინდა, რა გსურს—ეკითხება იგი ყველას. ასეთ კითხვებს იძლევა ის გაზეთი, რომელსაც თამამად შეგვიძლიან უპროფესიო გაზეთი უწოდოთ და რომელმაც თითონ არ იცის აქამდის ვინ არის, რა უნდა და რა სურს! საკმარისი არ არის სთქვა, რომ „უკვე ცნობილი მიმართულება“ ხარ. ბოლოს და ბოლოს ლოკოკინაც აღწევს ხოლმე თავის ადგილს. ფედერალისტთა არსებობაც ყველამ გაიგო—მაგრამ განა ჭეშმარიტება მათის პროგრამისა, მათის მოღვაწეობისა ამ ფაქტშია. არც ის არის დიდი დოვლათი, რომ თავის ჯგუფს „ფესვებ მომაგრებულ“ ჯგუფათ სთვლის გაზეთი. არსებობს კატეგორია ჩრდილში დასმულ მცენარეთა. გაიზრდებიან ბოლოკის ოდენა და მერე მთელი ჭკუა ფესვებში მისდით. ნამდვილათ კი ზრდა ზევით უნდა და არა ქვევით. მერე, რამდენათ გაიზარდა ფედერალისტთა პარტია? 1904—5 წელს იმდენი იყვნენ, რომ პარტია დაარსეს. მერე ისე ცოტანი აღმოჩნდნენ, რომ პარტია დაიშალა. აი, მთელი ისტორია, მაგრამ ამ ისტორიას ფედერალისტები რეზინივით სჭიმავენ და თან ბავშვურივით უხარიათ, რომ რეზინას ასეთი თვისება ჰქონია!

მათ ერთი საყვარელი ფრაზა აქვთ. „უკვე ორ ცნობილ მიმართულების გარდა, ჩვენში სხვა მიმართულებას ადგილი არა აქვსო“, გვეუბნევიან ისინი ჩვენ. პირველი თითონ არიან, მეორენი—სოციალ-დემოკრატები. მაგრამ რა აბსურდია ამის თქმა! თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მეორე მიმართულებას თითონვე ებრძვიან და არც მისი raison d'etr-ი სწამთ, გამოდის, რომ საქართველოში ფედერალისტების მეტს, სხვა მიმართულებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. განა შეიძლება ასეთის ლოღიკით ცხოვრება? ეს ხომ ანტროპოფაგობა არის! ასეთი რამ მონოპოლიასა და პატენტს წააგავს, მაგრამ იდეა და საზოგადოებრივი პროგრესი სპირტი ხომ არ არის, რომ პატენტით ივაჭრო.. ეჭვი არ არის, რომ ჩვენში სხვა პარტიებიც უნდა გაჩნდნენ, უფრო მეტად ეჭვი არ არის, რომ ზოგიერთები უნდა გაქრენ. და ამ პროცესს უკვე ვხედავთ. ირაზმება ახალი ჯგუფი, რომელიც თავის სოციალურ-ეკონომიურ თვისებების მიხედვით გაცილებით ძლიერი იქნება ბევრ ჯგუფზედ. ირყევა ის ჯგუფი, რომლის პროგრამმა ფრანგმენტარული არის. ეს ისე ნათელი და აშკარაა, რომ ამის თქმა არავის არ უნდა დაურჩეს საიწყენად, მაგრამ ჩვენ სულ წინაამდეგში გვარწმუნებენ. გვარწმუნებენ რომ ჯერ კიდევ ჯან-ღონით არიან სავსენი და ინდივიდუმთა ჯგუფობას „ნაფლეთების პარტიაში“ პარტიის ორგანიულ სიცოცხლეთ ასაღებენ. ეს შეცდომაა:

ოდესღაც ამ პარტიაში გონებრივი მოძრაობა იყო, სწრაფოებდა ბრძოლა არა მარტო პარტიის გარეთ, არამედ პარტიის შიგნითაც. არჩილ ჯორჯაძე გულწრფელი მოაზროვნე იყო და ვიცით რა ხასიათი მის ბუნებისა—მას შეეძლო ისევ იქ მიეყვანა პარტია, საიდანაც მან თვით წამოიყვანა იგი.

ჩვენ ვგულისხმობთ იმ დებულებას ნაციონალისტების პროგრამისას, რომელიც არსებობდა ჟენევის კონფერენციამდე. მან ეს ვერ მოახერხა სიცოცხლის დროს და მის მოწაფეებს კი ასეთი ფაქტის არსებობაც კი დაავიწყდათ. მაშ რა არის გასაკვირველი, რომ რაც მათ ვერ შესძლეს, სხვამ გააკეთოს. და ჩვენ ვხედავთ, რომ ეხლა სწორეთ ეს პროცესი ხდება. უნდა გარდავქმნათ, ან ხელახლათ შევქმნათ ის პარტია, რომელიც სახელმძღვანელოთ საქ. ეროვნულ აღორძინებას დაისახავს. ხომ სთქვა არჩილ ჯორჯაძემ, რომ „სოციალიზმი იმიტომ შევიტანეთ პროგრამაში, რომ უამისოთ ქართველ ხალხში გამოსვლა **მაშინ** შეუძლებელი იყოო“. მაშასადამე ეს იყო დროებითი ზომა და ეს იყო „მაშინ“. მაგრამ მიიხედეთ უკან—რამდენი რამ გამოვიარეთ მას შემდეგ და რამდენი დროებითი ხელ შეკრულობა დაიხა, აღარ არიან ცოცხლად აღარც ისინი, ვინც ამ ხელშეკრულობას მოაწერა ხელი. ჩვენ მივსდევთ პოლიტიკურ პროგრესს და სრულებითაც არ მიგვაჩნია მიცვალებულთა საფლავის შეგინებათ, როცა ისეთ ანდერძებს ვხევთ, სადაც მთავარი დებულება შეცვლილია დროებით „კეთილ გონიერებაზე და ხერხზე“

**შ. ამირეჯიბი.**

## ბრძოლა გერმანელთა წინააღმდეგ კომერციულ ასპარეზზე.

„გერმანელთა მილიტარიზმი უნდა შევმუსროთ და ქვეყანა განსაცდელისაგან უნდა ვიხსნათო!“ აი რას გაიძახის წამდაუწუმ მოკავშირეთა მთელი პრესა. ამ ქვეყნის მხსნელთ თითქო დავიწყებიათ, რომ გერმანიისთვის „მილიტარიზმი“ ისე, როგორც თვით „მხსნელთათვისაც“ მხოლოდ იარაღია, რომლითაც ის თავის საკუთრება - საქონელს იცავდა და იცავს;

. . . . . . . .

ყველა ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანია ამ ოცი-ოცდა ათი წლის განმავლობაში „მილიტარიზმით“—თოფ ზარბაზნით—კი არ აწუხებდა მათ, არამედ—„ალაბითა და ჩოთქით“. სხვანაირათ რომ ვთქვათ ის მსოფლიო ბაზარზე მტკიცე—შეურყეველი ნაბიჯით გამოდიოდა და „თავის საქონელს“ მოხერხებულათ ასაღებდა. აი რამ შეაწუხა მოკავშირეთა მთავრობანი და რამ გახადა ისინი იძულებული, რომ ყოველი ღონე ეხმარათ გერმანია ბაზრიდან გაეძევებიათ და ამ ნაირათ ძლიერი და მოხერხებული მეტოქე თავიდან მოეშორებიათ.

მაგრამ როგორც ვხედავთ, გერმანია ასეთ დიპლომატიურ კბენასა და შევიწროება-მუჯლუგუნებს „ცალიერი ხელით“ არ დაუხვდა: მან მოიმარჯვა მახვილი, თოფი, ზარბაზანი და სხვა კიდევ უფრო გაუმჯობესებული იარაღები, და გარშემორტყმულ . . . .

. . . . . . . .

დამამარცხებთ—ბაზარი თქვენ დაგრჩებათ, არა და—ჩამომეცალეთ, მომეცით გზა და საშუალება, რომ თავისუფლათ ვივაჭრო და ვიწარმოვოო!

დიახ, გერმანიას დიდი ხნით ადრე, ვიდრე ომი დაიწყებოდა, არ ასვენებდენ კომერციულ ასპარეზზე; აქ მას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს და ცდილობდენ მისი მსოფლიო ვაჭრობა როგორმე შეეფერხებიათ, ან სულ გაექროთ.

ამ ფაქტს ნათლად გვისურათებს ის სტატისტიკური ცნობები და მასალები, რომლებიც ამას წინათ საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტმა „კომერციის დოსიეს“ სახელით გამოსცა. აქ თავმოყრილია ყველა მასალები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორი ხერხით და საშუალებით ცდილობდენ სხვა და სხვა ქვეყნები კონკურენცია გაეწიათ გერმანული და ავსტრია-უნგრეთული საქონლისათვის. აქ შეკრებილია მდიდარი მასალა, რომელიც შედგება საფრანგეთის კომერციის აგენტების და ელჩების მოხსენებებისა და წერილებისგან. აქ ნათლათ დასურათებულია, თუ რა სასტიკ კომერციულ ბრძოლას ეწეოდა საფრანგეთი მსოფლიო ბაზარზე გერმანელთა ვაჭრობის წინაამდეგ.

ყველა ამ მოხსენებებში და წერილებში წითელი ზოლივით მხოლოდ ერთი აზრია გატარებული; სახელდობრ ის, რომ ფრანგები ნემცებს დიდათ, ძალიან დიდათ ჩამორჩენ უკან და ახლა, რომ აჯობონ მათ, ამისთვის საჭიროა მათვე მიჰბაძონო. და მერე რითი ამარცხებდა მათ გერმანია საკომერციო ასპარეზზე?

ამის სრულ პასუხს სხვათა შორის გვაძლევს დონის როსტოვის საფრანგეთ-რუსეთის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე, ბ. ეისენი, რომელიც აგვიწერს, თუ როგორ მეტოქეობას უწევს გერმანია-ავსტრიის საქონელი რუსულს დონის ოლქსა და კავკასიაში.

იგი სწერს, რომ გერმანული საქონლის გავრცელება აიხსნება შემდეგი 4 გარემოებით:

1) გერმანული საქონლის სიიაფით; 2) ფირმის წარმომადგენლობის მოხერხებულათ და ოსტატურათ მოწყობით და ტეხნიკურათა და კომერციულათ კარგათ მომზადებულ მრავალ „ვოიაჟერების“, „კომისიონერების“ ყოლით; 3) ძალიან დიდ ვადიანი კრედიტის მოწყობით და ანგარიშის ყოველგვარი შეღავათიანი გასწორებით და 4) რეკლამებზე დიდძალი ხარჯების გაწევით. ამავე გარემოებაზე უჩვენებს საფრანგეთის მეორე ელჩიც (ოდესის), რომელიც შენიშნავს, რომ „ფრანგების ვაჭრობა ტყუილა ცდილობს სიფრთხილითა და მომჭირნეობით თავის გატანას მაშინ, როდესაც „**ურისკოთ**“ და **უმსხვერპლოთ** ბაზარს ვერასოდეს ვერ დაიპყრობ“.

საერთოთ, თუ ომამდე ვერაფერი გააწყვეს გერმანელთა ვაჭრობის წინააღმდეგ, ახლა ამ ომის დროს მაინც ცდილობენ ისარგებლონ მომენტით და თავის მოკავშირის, რუსეთის ბაზარი, სადაც გერმანია იყო დღემდე გამაგრებული, ხელთ იგდონ.

ზემოთ დასახელებულ კრებულში მოყვანილია ვარშავის ელჩის (საფრანგეთის), ბ. ვილტენის წერილი, რომლითაც ფრანგ ვაჭარ—მრეწველთ რუსეთის ბაზარზე უთითებს და ურჩევს, რომ ისარგებლონ ახლანდელი მომენტით და რუსეთის პოლონეთიდან დღეიდანვე გამოაძევონ გერმანული საქონელი (განსაკუთრებით ქაღალდი.).

ეს „კეთილი რჩევა“ ახლა სწორეთ იმავე ომის პირობების ძილით, რომლის მეოხებით ბ. ელჩი საფრანგეთის ვაჭრების გასუქებას ფიქრობს მხოლოდ „კეთილ სურვილთავე“ დარჩება, ვინაიდგან საფრანგეთს დღეს ომის ცეცხლში გახვეულს „საგარეო კომერციისათვის“ აღარა სცხელა. ის მთელ თავის ძალებს ომის წარმოებას ანდომებს: სავაჭრო კაპიტალიც კი, რომლითაც ის ისე მდიდარია, დღეს მხოლოდ საომარ საშუალებების შეძენაზე იხარჯება . . .

მაშ თუ საიმედო აქვს საფრანგეთს ამ მხრით, ეს ისევ მომავალში უნდა იგულისხმოს, როცა მოკავშირენი გაიმარჯვებენ და ძლიერი მეტოქე გერმანია რამდენიმეთ მაინც ჩამოშორებული იქნება.

მაგრამ მას აქაც ... დიდი ... დაბრკოლება უხვდება: გერმანიის ალაგს მის წინააღმდეგ ინგლისი დაიჭერს, რომელსაც გერმანიის შემდეგ ვაჭრობაში პირველი ალაგი უკავია.

**დ—ელი.**

(დასასრული ხვალ.)

### ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა კრება.

(გაგრძელება იხ. № 105).

მეორე საკითხი შეეხებოდა მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას; თავჯდომარემ კრებას მისცა წინადადება, ილაპარაკონ, ვისაც რა აქვს ამის შესახებ სათქმელი. ბ. ურატაძემ გამოსთქვა რომ ესეც გადაიდოს, რადგან მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა შეკავშირებულია ძველ ანგარიშებთან.

გრ. გველესიანი წინააღმდეგია გადადებისა; პ. ყიფიანი ეთანხმება ბ. ურატაძისა და სხვათა აზრს გადადების შესახებ. თავჯდომარე რეზოლუციას უკეთებს და ხმის უმეტესობით გადაიდება ესეც, ამასთანავე თანახმად პ. ყიფიანის მოხსენებისა, კრებამ დაადგინა სამი დღის განმავლობაში გამგეობამ დაბეჭდოს ანგარიში და დაურიგოს წევრებს, რათა კარგათ გაეცნონ და გაითვალისწინონ ანგარიში შემდეგი კრებისათვის.

შემდეგ მოხდა მსჯელობა სხვა და სხვა საგნებზე. პირველი საკითხი შეეხებოდა წიგნების ვაჭრობის მოწყობას. ბ. ურატაძემ მოითხოვა გამგეობისაგან ამის შესახებ მოხსენების მოსმენა, რათა შემდეგ კრებამდე ყველა კარგად გაცნობოდა ამ საქმეს. გამგეობის წევრმა სილ. ხუნდაძემ მოახსენა კრებას, რომ წიგნების გავრცელების საქმეს პროვინციებში ხელს უშლის შემდეგი გარემოებანი: პირველი ის, რომ აგენტურა არა აქვს საზოგადოებას მოწყობილი, მეორე, საჭიროა ნებართვის აღება და მესამე, რკინის გზის ლიანდაგზე, სადგურებში უნდა მოეწყოს წიგნების ვაჭრობა, რისი უფლება ჩვენ დღეს არა გვაქვს, რადგან კავკასიაში მთელი რკინის გზის ლიანდაგი აღებული აქვს იჯარით ჟურნალ გაზეთებისა და წიგნების გასასაღებლად ვიღაც სუვორინის ამხანაგობას; ამიტომ საჭიროა მთავარმა გამგეობამ იშუამდგომლოს ვისთანაც ჯერ არს, მოგვცეს ნება გავავრცელოთ წიგნაკები, როგორც ჩვენი გამოცემანი, ისე სხვათა, პროვინციებში და რკინის გზის ლიანდაგზედაც ყველგან; რაც შეეხება აგენტურის მოწყობას, გამგეობას აზრად აქვს დაიქირაოს ერთი პატიოსანი და საიმედო კაცი, რომელსაც დაევალება იმოგზაუროს პროვინციებში და მიაწოდოს ხალხს წიგნები; ასეთ კაცს ჯამაგირი დაენიშნოს ჯერჯეროვით წლიურად 300 მანეთი და გაყიდული წიგნებიდან კიდევ მიეცეს 20%. ამ საკითხის შესახებ ილაპარაკეს ბ.ბ. ურატაძემ, ლაღიძემ, ყიფიანმა, ბაქარაძემ, ს. წერეთელმა, გრ. გველესიანმა და ი. ოცხელმა.

კრებამ მიიღო შემდეგი წინადადებანი: ეთხოვოს მთავარ გამგეობას, აღძრას შუამდგომლობა პროვინციებში და რკინის გზის ლიანდაგზე ქართული წიგნების გაყიდვა გავრცელების შესახებ, მოეწყოს სოფლად აგენტურა; წიგნებისათვის საკუთარი საწყობის დაქირავება კი ჯერ-ჯერობით კრებამ არა საჭიროდ სცნო; ამასთანავე კრებამ დაავალა გამგეობას ამ საქმის შესახებ ხარჯთ აღრიცხვის შედგენა და წარმოდგენა შემდეგი კრებისათვის.

**ლადო ბზვანელი.**

(შემდეგი იქნება).

### შეცდომის გასწორება.

პირველ წერილში შეცდომით არის ნათქვამი „500 წევრიდან“, უნდა იყოს 400 მდე წევრიდან.

**ლ. ბ.**

## ქუთაისის საურთიერთო საზოგადოება.

(მოკლე ისტორია)

(იხილე „სამშობლოს“ № 89, 91, 90).

რევიზორის შეცდომების პასუხად გამგეობამ შეადგინა მოხსენება, რომელიც იყო დაბეჭდილი.—ეს მოხსენება დაურიგდა წევრებს, და უნდა ყოფილიყო წაკითხული კრებაზე.—ამ მოხსენებასთან ერთად გამგეობამ წარადგინა შემდეგი წინა-

დადება, რომელიც იყო დაბეჭდილი რუსულად და ქართულად და რომელიც უნდა მოხსენებოდა კრებას.—აი ეს წინადადება:

1. ზარალად სარიცხოს მთავრობის რევიზიისაგან ნაანგარიშევი 538.218 მან. 28 კაპ.

2. ამ ზარალის საზღაურად მოხმარებულ იქმნეს საზოგადოების საჭირნახულო თავნი ფული 63159 მან. 98 კაპ.

3. დატოვებულ იქმნეს დაუხურავად ზარალის ნაწილი ბანკის დასაფუძნებელის თავნის მესამედის ოდენი, ე. ი. 52000. მან.

4. ზარალის დანარჩენი, 424 ათას მანეთზედ არა ნაკლები, განაწილდეს საზოგადოების წევრთა შორის იმ ზომით, რომ თითოეულს მათგანს ხვდეს მისი პასუხის-მგებლობის 27%.

5. ამ 424 ათასი მანეთის გარდახდა განაწილდეს სამის წლის ვადით: პასუხის-მგებლობის 10% შემოტანილი უნდა იქმნეს 1905 წლის პირველს ივლისამდის, მეორე 10%—1906 წლის პირველს ივლისამდის და დანარჩენი 7%—1907 წლის პირველს ივლისამდის.

6. საზოგადოების შემდეგის წლების-მრთელი მოგება, ჩვეულებრივის ოპერაციებით მიღებული და აგრეთვე შემოსული იმ ვექსილებსა და გირაოებში, რომელნიც, მინისტრის განკარგულების თანახმად, ეხლა ზარალად არის ჩარიცხული, უნდა გაუნაწილდეს იმ წევრებს, ვისაც ზარალის გარდახდაში მონაწილეობა მიუღია მათის პასუხის-მგებლობის მიხედვით.

7. ზარალის გარდახდაში მონაწილეობა აქვსთ, საზოგადოების წესდების §§ 25—29 თანახმად, ახლანდელს წევრებს და აგრეთვე მათაც, ვისაც საზოგადოებისაგან გამოსვლაზედ განცხადება შემოიტანი.

8. ვისაც საზოგადოებისაგან გამოსვლის თაობაზედ განცხადება შემოუტანია, მათ აღარა აქვთ მონაწილეობა საზოგადოების შემდეგის დროის შემოსავალსა და მოგებაში და მათი ხვედრი ზარალის გარდახდა სამის წლის ვადით არ ედროვებათ.

9. ვისაც პასუხის-მგებლობის შემცირების თაობაზედ განცხადება შემოუტანია, მათ ზარალის გარდახდაში მონაწილეობა წინანდელის პასუხის-მგებლობის მიხედვით ექმნებათ და შემდეგის დროის შემოსავალსა და მოგებაში კი—ახალის შემცირებულის პასუხის-მგებლობის მიხედვით.

10. წევრმა, რომელმაც პასუხის-მგებლობის შემცირებაზედ თხოვნა შემოიტანა, ერთბაშათ უნდა გარდაიხადოს ზარალის დასახურავი ფული, რაც პასუხის მგებლობის დანაკლისს ხვდება.

11. ვისაც ზარალის გარდახდაში მონაწილეობა აქვს და ვინც ამასთანავე საზოგადოების წევრად რჩება, მათ სრულად უნდა დაუბრუნდეს მათგან გარდახდილი ზარალი თავთავის პასუხის-მგებლობის მიხედვით; ამის გამო საზოგადოების შემდეგის წლების მოგება დივიდენდათ აღარ დარიგდება, სანამ ყველა წევრი არ მიიღებს ისევ თავ-თავის კუთვნილს ფულს, საზოგადოების ზარალის საზღაურად გარდახდილს.

12. ვიშუამდგომლოთ ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომ საზოგადოებას ნება მიეცეს დაგირავებული მასთან და საკუთარი შავი-ქვა გაიტანოს ჭიათურის რკინის გზით იმ ტარიფით, რომელიც საზოგადოთ არსებობს შავი-ქვის გადატანისათვის ამიერ კავკასიის რკინის გზაზედ.

13. ვიშუამდგომლოთ ისევ ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომ საზოგადოებას გარეშე კაცთაგან სარგებლით შესანახი ფულების მიღების ნება ქონდეს.

14. ვიშუამდგომლოთ სახელმწიფო ბანკის წინაშე, რომ საზოგადოებას მისცეს საჭირო კრედიტი და ამასთანავე მივიღოთ თავის თავზედ ის ხარჯი, რომელიც სახელმწიფო ბანკს კონტროლისათვის დასჭირდება.

15. ვიშუამდგომლოთ ფინანსთა სამინისტროს წინაშე, მოგვეცეს უფლება, რომ, გაჭრობის ეხლანდელის შევიწროებისა და საზოგადო უფულობის გამო, მთავრობის რევიზიისაგან ნაანგარიშევი ზარალი ზემორე აღნიშნულის რიგით დაიხუროს.

ამ წინადადებიდან ცხადად სჩანს, რომ გამგეობა დარწმუნებული იყო იმაში, რომ მარგანეცის ფასი აიწევდა და გაიყიდებოდა ფუთი 4 კაპეიკზე მეტად და რომ იმ ვექსილებშიდაც, რომლებიც რევიზორის მოხსენებით მინისტრს უიმედო ზარალათ ჰქონდა ჩათვლილი თუ სრულად არა, უმეტესი ნაწილი შემოვიდოდა თავნიც და სარგებელიც,—და ამის გამო მოიხსენა ამ წინადადებაში, რომ მთელი შემოსული ფული იმ ვექსილებსა და გირაოებში, რომელნიც მინისტრის განკარგულების თანახმად ზარალად იყო ჩარიცხული, უნდა განაწილებოდათ იმ წევრებს, ვისაც ზარალის გარდახდაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ მათი პასუხის-მგებლობის მიხედვით.

საზოგადოება დაინტერესებული იყო, რომ არც ერთი წევრი არ გამოსულიყო და მათი გამოსვლით არ შემცირებულიყო საზოგადოების სიმკვიდრე და გარანტია, რომელიც აღემატება მილიონ-ნახევარზე მეტსა 1579 წევრის თავდებობით.

და ამიტომ იყო მოხსენებული ამ წინადადებაში, რომ თუ უკეთუ რომელიმე წევრი აღარ ისურვებდა დარჩენას, მაშინ იმას უნდა გადაეხადა სრულად ის, რასაც მინისტრი თხოულობდა და გადახდილი ფული აღარ დაუბრუნდებოდა მომავალში.

გარკვეულად იყო მოხსენებული ამ წინადადებაში, რომ ვისაც ზარალის გარდახდაში მონაწილეობა აქვს და ვინც ამასთანავე საზოგადოების წევრად რჩება, მათ სრულად უნდა დაუბრუნდეს მათგან გარდახდილი ზარალი თავ თავის პასუხის მგებლობის მიხედვით.

ამას მოითხოვდა სამართლიანობა, ამას მოითხოვდა თვით ამ საურთიერთო კრედიტის ინტერესი, ნდობა და სიმკვიდრე.

მიუხედავათ ამისთანა ცხადი ჭეშმარიტებისა,—ახალმა გამგეობამ 1906 წელს ერთბაშათ გამორიცხა ექვსასზე მეტი წევრი, 1908-ში გამორიცხა ას ოცამდი და ასე ამნაირად თვითნებლობით ყოველ წლივ ბევრი წევრი იქმნა გამორიცხული გამგეობისაგან ამ ათი წლის განმავლობაში, ისე რომ ნაცვლად 1579 წევრისა, რომელიც ირიცხებოდა 1906 წლამდი, და რომლების თავდებობა აღემატებოდა ერთ მილიონ ნახევარ მანეთსა ეხლა ამ საზოგადოებაში ირიცხება 891 წევრი, რომელთა თავდებობა არის 240 ათასი მანეთით ნაკლები—ვიდრე წინეთ იყო.—და ამ 891 წევრთა შორის ახლად მიღებულები არიან ამ 11 წლის განმავლობაში 649,—ისე, რომ ამის გამორიცხვით ეხლა ამ საზოგადოების ძველი წევრები რჩება—მხოლოდ 242.—

ამ 11 წლის განმავლობაში არც ერთ ანგარიშში არ მოიპოვება განცალკევებული, ყველასთვის ცხადად გამოყვანილი ანგარიში იმისა, თუ აქ რამდენი მანეთი შემოვიდა ზარალად ნაჩვენებ 172.000 მანეთის ვექსილებში რომელ წელიწადს რამდენი.

და 2) რამდენი მანეთი შემოვიდა მარგანეცში იმ 300.000 მანეთში რომელიც ზარალად იყო ნაჩვენები.

ეს დიდი ნაკლულევანება არის ამ საზოგადოების ანგარიშებისა, რომ ყოველი ეს საჭირო ცნობები ჩამარხული და ჩაფლულია სადღაც საზოგადოების წევრთათვის მიუვალ ჟურნალში და არ არის ნათლად ყველასთვის საცნობლად გამოყვანილი დაბეჭდილ ანგარიშებში.

ბანკას ზარალს რომ ვახდევინებთ 1579 წევრსა—ეს არის ამ წევრების თავდებობის გარდასახადი და არა მათი პირადი ნასესხი ბანკიდან ვალი.—თუ ბანკს მართლა ზარალი მოუვიდა იმ 172.000 მანეთის ვექსილებში და იმ მარგანეცის გირაოთი გაცემულ სესხში,—ეს უნდა ცხადად იყოს ნაჩვენები, დამტკიცებული; და თუ ეს ზარალია, რომელსაც ელოდა მინისტრი რევიზორის უმართლო მოხსენებით, რაღა უფლება აქვს საზოგადოებას, რომ ეს ათასზე მეტი წევრი გამოირიცხა და რომ ამ 1579 წევრს საზოგადოება ასე უწესოდ და უკანონოდ მოექცა.

# ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

✦ ამ დღეებში ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი პოტულოვი კვლავ მიემგზავრება სამეგრელოში დამშეული გლეხების მდგომარეობის გასაცნობათ. ბ-ნი გუბერნატორი დაათვალიერებს სამეგრელოს ყველა სოფლებს.

✦ ქუთაისის საოლქო სა'მართლოს უფროსი თავჯდომარე ბ-ნი ფედოროვი დღეს გაემგზავრა დ. ლაილაშს, სადაც მისი თავჯდომარეობით გაირჩევა საყურადღებო საქმეები.

✦ ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზი გიორგი ამ ჟამად წყალტუბოში იმყოფება.

✦ დღეს, 17 ივნისს, საღამოს 8 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში გაიმართება დრამატიული საზოგადოების კრება არჩევნების მოსახდენათ.

✦ სოფ. შროშაში, კვირას, 21 ივნისისთვის, ზალიკო ჩიხლაძის თაოსნობით, გაიმართება წარმოდგენა სალიტერატურო განყოფილებით. დაიდგმება ორი პიესა:

„დარისპანის გასაჭირი“ და „უბედური დღე“. ყობოს როლს შეასრულებს მსახიობი **ნემო**. დივერტისმენტში მონაწილეობენ: ია ეკალაძე, გ. ტაბიძე, ნოე ჩხიკვაძე, ვ. გორგაძე, სიმ. წველი, ლადო მაჭავარიანი, მ. ანაშვილი, ჰაიდარ-შეგ-აბაშიძე, ზალიკო ჩიხლაძე და სხვა... იმღერებენ კუპლეტებს ვაი-ვუის ხმაზე: ნემო და ვ. ტყეშელაშვილი. იმერულ სცენებს წაიკითხავს ვ. ტყეშელაშვილი. ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა.

✦ კვირას, 14 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის სასეირნო ბაღის მახლობლათ, ახლათ გაწვეულმა ჯარის კაცმა შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციის დარაჯს. ამ გარემოებამ დიდი აურზაური გამოიწვია მოსეირნე საზოგადოებაში. ჯარის კაცი საპოლიციო უბანში წაიყვანეს.

✦ 16 ივნისს სღ. 7 საათზე გაგარინის ქუჩაზე ბარბალე აკოპოვს ხელით შეურაცხყოფა მიაყენა არშაკ აკოპოვმა. ქალს ყვირილზე პოლიცია მიეშველა და არშაკ აკოპოვი ქუთაისის სატუსაღოში გაგზავნეს.

✦ მეღვინეობისა და მევენახეობის კომიტეტს გადაუწყვეტია ს. მანდიკორხა და ს. საწირეში იქ არსებულ სამეურნეო და სამინისტროს სასწავლებელთან დააარსოს საცდელი მინდვრები.

✦ სამეურნეო სასწავლებლის მოწაფეები ამ დღეებში გაემგზავრებიან ოკრიბაში (ქუთ. მაზ.) მეომართა ოჯახების დასახმარებლათ და მათი ყანა-ვენახების მოსავლელათ.

✦ ქალაქის გამგეობის წევრის დაცლილ ადგილზე სხვათა შორის ასახელებენ დავით ვ. მდივანს, პ. ი. მდივანს და ნ. არდიშვილს.

✦ წელს ევგენია კორძაიას პროფესიონალური სასწავლებელი დაასრულა 21 მოსწავლე ქალმა. აი მათი გვარი და სახელი:

აბაშიძე თამარი, აჯალიშვილი თამარი, ასათიანი თამარი, ახვლედიანი ელენე, ბოქსაძე დომინიკა, ბოჭორიშვილი ნინო, გურულიშვილი ალექსანდრა, გძელიშვილი ელისაბედი, თოფურია ეკატერინე, ლეჟავა ევგენია, ლეჟავა თამარი, ლეჟავა რიფსიმე, მიქელაძე მარიამი, ნინუა ოლღა ნიორაძე კალენიკე, რ[illegible]ნაშვილი, სარა ჩარკვიანი ლიუბა, ჩიგოგიძე ეფროსინე, ჩხეიძე პოლინა, ხვედელიძე ნინო, ხონელიძე ეკატერინე.

✦ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი ბ. კოტილევსკი სამსახურს თავს ანებებს და ამ დღეებში რუსეთს გაემგზავრება. ბ-მა კოტილევსკმა ქუთ. საზოგადოების დიდი პატივისცემა დაიმსახურა.

✦ როგორც ს. გელათიდან გვწერენ 14 ივნისს აქ დიდი წყალდიდობა ყოფილა. მდ. წყალწითელა ნაპირებს გადმოსცილდა და ახლო მახლო ყანები წალეკა. ადიდებულ მდინარეს გელათიდან მეწისქვილე ტყაბლაძე მოუტაცნია და დაუხრჩვია. დამხრჩვალი გვამი მოწამეთის მონასტრის მახლობლათ უნახავთ.

✦ 8 ივნისს დ. ზუგდიდში გაიმართა საჯარო სეირნობა ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ, მიმდინარე წლის ხარჯის დასაფარავათ. სეირნობას ბევრი ხალხი დაესწრო. შემოვიდა 6330 მ. 65 კ., დაიხარჯა 195 მ. დარჩა წმინდა მოგება 438 მ. 65 კ.

✦ როგორც ს. ჭრებალოდან გვწერენ, 6 ივნისს, გაიმართა წარმოდგენა ადგილობრივი სამკითხველოს სასარგებლოთ. წარმოადგინეს ვ. გუნიას „და-ძმა“. წარმოდგენა სუსტი გამოდგა და ხალხიც მცირე დაესწრო.

✦ დ. სამტრედიიდან იტყობინებიან, რომ 11 ივნისს დაინგრა კოოპერატიულ საზოგადოების „დამხმარეს“ ახლად აშენებული ფურნე მიზეზი გამოურკვეველია.

✦ ამ ჟამათ ქუთაისში აბრეშუმის პარკის შემოტანა მატულობს ფასი ფუთზე 12 მ. 50 კ. არის.

✦ 19 ივნისს, ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დარბაზში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება თბილისის გუბერნიის სოფლისა და ქალაქების, აგრეთვე ყარსის, ოლქისის მამულები, რომლის პატრონებს გადასახადი არ შეუტანიათ.

✦ ბ-ნ ალ. მ. კრინიცკიმ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ ნება დართოს ქუთაისში გამოცეს ყოველ დღიური ქართული გაზეთი.

✦ რკინის გზის ყველა სადგურების უფროსებს ოფიციალური დეპეშით მოუვიდათ, რომ არ გაყიდონ ბილეთები და არც რაიმე საქონელი მიიღონ შემდეგ ქალაქებში გასაგზავნათ: ქ. პეტროგრადსა, ქ. რიგასა, ქ. ვარშავსა, ქ. ბათომსა, და ყარსში.

✦ ტყიბულის საბოქაულოში ახალი ჯარის კაცთა გაწვევა უკვე დაიწყო და დასრულდება 19 ივნისს.

✦ გუშინ ქუთაისში მოხდა ცხენების მეორე მობილიზაცია. ცხენები ქუთაისის მაზრის ყველა სოფლებიდან ჩამოიყვანეს.

### მოწერილი ამბები.

**სოფ. თერჯოლა.** სოფ. თერჯოლაში მცხოვრები გლეხი სიმონ სუთიძე 7 ივნისს, საღამოს ჟამზე, მეზობელთან გადასულა სალაპარაკოთ. შინდისას შინ დაბრუნებულა, მაგრამ შინამდის ველარ მიუწევია და გზაში უეცრათ გადაცვლილა.

ორშაბათს, 8 ივნისს, საღამოს ჟამზე, საშინელი წვიმა მოვიდა. ადიდდა პატარა მდინარე ჩხარა და ამობოქრებულმა მდინარემ მთლათ ერთიან წალეკა, რაც ნათესი ყანები იყო და ვენახები, ხომ ისე აოხრა, რომ მათი გამობრუნების იმედი აღარავის აქვს, ზარალი მეტათ დიდია. ყველაზე მეტი ზარალი გლეხ მაკარიძეებს მოუვიდათ.

ამას წინათ აქ ერთი გლეხის ცოლს მანკიერი ბავშვი დაებადა: ბავშვს მარცხენა ფეხის წვივი მოგრეხილი აქვს, მარჯვენა ხელზე მარტო ორი თითი—ცერი და ნეკი და მარცხენაზე-კი მარტო ერთი ცერი; აქვს ამისთანა საარაკო ბავშვის დაბადებამ საბრალო დედა მეტათ დატანჯა. საწყალმა თურმე თავი კინაღამ დაიხრჩო, რომ ბებიასა და დამსწრე ქალებს არ გადაერჩინათ.

# ომის დღიური.

დღევანდელი დეპეშების მიხედვით, რამე თვალსაჩინო ცვლილება არც ერთ ფრონტზე არ მომხდარა კავკასიის ფრონტზე ოსმალონი ისევ იწყებენ მოქმედებას, ისინი შეეცადნენ იერიში მიტანას ზღვის პირის გზით, და ოლთისისკენ, მაგრამ ორივეჯერ დამარცხდნენ, რუსის ჯარმა დუტახიდან განდევნა ქურთები და დაატყვევა ქურთების პოლკის პოლკოვნიკი.

აღმოსავლეთის ფრონტზე ცხარე ბრძოლა იყო ოჟაროვის რაიონში. მტერი სასტიკათ დამარცხდა და უკუიქცა. სასტიკი ბრძოლა იყო აგრეთვე გლინიანთან. აქ რუსებმა ავსტრიელების მრავალი ტყვე წამოიყვანეს. ტომაშოვთან და კამენკასთან მტერს იერიში მოაქვს.

# მცირე შენიშვნა.

გაზეთ „სამშობლო“ № 101-ში მოთავსებულია სია ზესტაფონლებისა, რომელთაც შემოწირეს ფული დამშეულ მეგრელთა სასარგებლოთ. იქვე სწერია რომ ამ საგნისთვის შეიკრიბა **264 მ. 74 კ.** ქუთაისის საქველ-მოქმედო საზოგადოებას გადაეცა დასარიგებლად დანიშნულებისამებრ, ამ ფულიდან მხოლოდ 200 მ, რის შესახებ უკვე იყო დაწერილი იმავე ნომერში. დანარჩენი **64 მ. 74 კ.** კომისიამ გადასწყვიტა შეიტანოს მიმდინარე ანგარიშში საბანკო დაწესებულებაში მომავალ ზესტაფონის საქველ-მოქმედო საზოგადოების თანხად.

მღ. კ. ანთაძე.

# კიდევ ქართული გალობის შესახებ.

გაზეთ „სამშობლოს“ მე-100 №-ში ბ. ტ. ჯაფარიძე ქართული გალობის შესახებ, სხვათა შორის ამბობს: „ზოგი ბრძანებს, რომ არავითარი ცვლილება ძველს ქართულ გალობაში არ შეიძლება შევიდეს და ზოგი კი იმ აზრისაა, ქართულ გალობას დღეს ერთგვარი გამშვენება სჭირდება, ამის შესახებ საჭიროა ყველას აზრი მოვისმინოთო“.

ჩემის ღრმა რწმენით ქართულ გალობის ცვლილებაზე. დღეს სიტყვის თქმაც ზედმეტად მიმაჩნია, პირველად იმიტომ, რომ იგი, როგორც ძვირფასი განძი, გამომხატველი ჩვენი წინაპართა ნიჭისა, სიდიადისა და სულის-კვეთებისა, როგორც ჩვენთვის არის ძვირფასი, აგრეთვე, და შეიძლება მეტადაც, ძვირფასი იქნეს ჩვენი მომავალი შთამომავლობისთვისაც, რომელსაც, თუ ახალს ვერაფერს შეუქმნით, მამა-პაპათაგან დატოვებული განძი მაინც არ უნდა დავუკარგოთ; მეორე, ჩვენ არ შეგვიძლია მისი დაფასება, რადგან მრავლისაგან უმრავლესი ჩვენთაგანი ამ საქმეში უვიცნი ვართ და კიდევაც რომ შეგვეძლოს დაფასება, რა უნდა დავაფასოთ, როდესაც ქართული გალობა დღევანდელ მოდგმას, დასავლეთ საქართველოს, არც კი მოუსმენია, და რომ იგი დაფასდეს ჯეროვნად, საჭიროა გალობის კარგი მცოდნე და კარგი ხმის მქონე პირთაგან შემდგარი გუნდის და ზედმიწევნით მცოდნე ლოტბარის ხელმძღვანელობით [illegible]სი მოსმენა, და ჩვენ კი ამას მოკლებული ვართ. აბა მიბძანეთ, სად იყო და ან სად არის დღეს ასეთი გუნდი? შემთხვევით შეხვედრილ გალობის მცოდნე ორსამ პირს და ისიც წელიწადში ორჯერ—ან სამჯერ ასეთ გუნდთან კავშირი არა აქვს; კარგი მცოდნე პირებიც ვერ შესძლებენ კარგათ გალობის შესრულებას, ვიდრე ისინი ერთმანეთს ალღოს ვერ აუღებენ და ხმას ვერ შეუწყობენ.

ავიღოთ თუნდ ჩვენი დედა ქალაქი ქუთაისი, ვის ყავდა აქ, ან ყავს მუდმივი გუნდი ქართულ გალობისა? არავის.—მაშასადამე, როგორც წყალში თევზი ვერავის დაუფასებია, აგრეთვე არც ჩვენ ძალგვიძს დავაფასოთ ჩვენი გალობა. მართალია, ამ საქმეში შეძლების დაგვარად დიდი ღვაწლი მიუძღვისთ მ. რ. ხუნდაძეს და ბ. ივლიანე ნიკოლაძეს, რადგან პირველმა მათგანმა ამას წინათ კიდევაც შეადგინა კარგი ხმების მქონე პირთაგან გუნდი, მაგრამ იგი ისე ჩქარა დაიშალა, რომ მისი ნაყოფი ვერ ვიგემეთ და იმასაც მოგახსენებთ, რომ ბ. რაჟდენ ხუნდაძე, თუმცა ბუნებრივად ნიჭიერია, გალობის მცოდნე და მოყვარულიც, მაგრამ, რადგან მას, სამწუხაროთ, სპეციალური მუსიკალური სწავლა არსად მიუღია, ამ საქმის მეთაურობას ვერ მიიღებს თავის თავზე და დახმარება კი ყველაზე მეტი შეუძლია, მისი ცდა მხოლოდ ის იყო საზოგადოებისათვის დაენახვებია, რომ ჩვენი გალობა ღირსია ყურადღებისა. ესევე ითქმის ბ. ნიკოლაძეზედაც. გალობის ნოტებზე გადაღება და ისიც ქართული კლიმანჭურისა იშვიათ პირს შეუძლია და ამიტომ ამის ნება ყველას არ უნდა მიეცეს, თორემ დღეს ყველა, ვისაც „გამმა“ კი უსწავლია, თავის ჭკუაზე და გემოზე გადააქვს ნოტებზე ჩვენი გალობა და ამით მას სახელს უტეხს. ამ თვითნებობას ბოლო უნდა მოეღოს და ქართული ძველი გალობა სპეციალურ მცოდნე პირისაგან უცვლელად უნდა იქნას ნოტებზე გადაღებული და დაცული.

დღევანდელ პირობებში ზედმეტად არ მიმაჩნია გავუზიარო მკითხველს ერთი ცნობილი პირის შეხედულება ჩვენს გალობაზე: ნეტარ ხსენებულს მ. ვასილ აუშევს, ლოტბარს ეგზარხოსისას, ცნობილს, როგორც გალობის ზედმიწევნით მცოდნეს, თბილისის სასულიერო სემინარიაში ერთხელ ხელში ჩაუვარდა ფ. ქორიძის მიერ ნოტებზე გადაღებული ქართული გალობა: „მოვედი თაყვანი ვსცეთ“ მან პიანურზე რამდენჯერმე დაუკრა იგი და როდესაც დავიდა სიტყვაზე „მგალობელნიც“ და აუკრიალა პიანურზე, გულმოსულმა იგი უცებ ხელიდან გააგდო და სთქვა: „სადაც ამისთანა საკუთარ თქვენს გალობას არ სწავლობთ, სლავიანური გალობა რით გასწავლოთო და დაუმატა. „такихъ переходовъ я рѣдко встрѣчалъ даже и въ русскихъ напѣвахъ“. თუ კი გალობის მცოდნე პირი ასე მოხიბლა ჩვენი გალობის მხოლოდ გარეგნულმა მხარემ, ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ მოიხიბლებოდა იგი მაშინ, შინაარსიც რომ ცოდნებოდა. (მან ქართული არ იცოდა სრულიად.) ამნაირად საკითხის აღძვრა, შევიტანოთ ქართულ გალობაში რაიმე ცვლილება, თუ არა, უდროვოთ მიმაჩნია. აქ საჭირბოროტო საკითხი სულ სხვაა,—ვინ ითავოს და ან რა საშუალებით დააგვირგვინოს ეს საქმე?

ინიციატივა ასეთი დიადი საქმისა უნდა მიიღოს თავის თავზე ან სამღვდელოებამ და ან ეთნოგრაფიული საზოგადოების გამგეობამ, რადგან გალობასთან სიმღერებსაც უსათუოდ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ამ შრომის დროს, ამიტომ უფრო შეესაბამება და უფროც შეძლებს ამ საქმის გაძღოლას უკანასკნელი, რომელმაც საშუალებისათვის ყველას უნდა მიმართოს, რადგან ეს საზოგადო საქმეა და მასთან ხარჯსაც დიდს მოითხოვს.

პირველ ყოვლისა მონაწილეობა უნდა მიიღოს (და კიდეც მიიღებს) თვითოეულმა კრებულმა იმერეთის ეპარქიის ეკლესიებისა და თვითოეულმა ეკლესიამ, რაიცა უნდა მოხდეს უსათუოდ საეპარქიო კრების დადგენილებით და მღვდელმთავრის ლოცვა კურთხევით, ასე მოიქცევა გურია—სამეგრელოს ეპარქიაც. ამავე მიზნით გამგეობამ უნდა მიმართოს სათავად-აზნაურო და საურთიერთო ბანკებს, ჭიათურის შავი ქვის საბჭოს, რომლებიც უსათუოთ შეეწევიან ამ საშვილი-

შვილო საქმეს და როცა მათგან დასტურს მიიღებს და ფულის რაოდენობას გამოარკვევს, მხოლოდ მაშინ შეუძლია მას ამ საქმის აღმასრულებელს ჯეროვანი ჯამაგირი დაუნიშნოს და მცოდნე პირსაც მოუწოდოს ამ ადგილზე, მანამდის კი გალობის მცოდნე პირის მოწოდება ნაადრევად მიმაჩნია, რადგან გამგეობა განსაზღვრულს და ჯეროვან სასყიდელს ვერავის აღუთქვამს უსახსრობისა გამო და უამისოდ კი კარგი არავინ დათანხმდება ამ ფრიად და მძიმე საქმის თავის თავზე მიღებას და, ვგონებ, მიზეზიც ეს უნდა იყოს, რომ ხსენებულ საზოგადოების მოწოდებაზე არცერთს გალობის მცოდნე პირს მისთვის პასუხი არ გაუცია, როგორც ამას ბრძანებს თვით ბ. ტ. ჯაფარიძე. მაშასადამე, პირველ ყოვლისა საჭიროა საშუალება და მერე ყველაფერი რიგზე მოეწყობა.

**დეკანოზი ტიმოთე კაპანაძე.**

# თეატრი და ხელოვნება.

## ოტელო შექსპირისა.

ქართველი საზოგადოების წინ ოტელოს პასუხსაგებ როლში წარმოსდგა ახალგაზდა მსახიობი ალ. იმედაშვილი.

პირველად ეს როლი ბ-ნ იმედაშვილმი შეასრულა თბილისში, ეს თამაში, როგორც სათეატრო კრიტიკიდან სჩანს, ჩვენმა ნიჭიერმა და განათლებულმა კრიტიკოსმა ღ. კასრაძემ, გაარჩია და მსახიობს მიუძღვნა უდიდესი ჯილდო-დადაფნული გვირგვინი.

ცნობილ პირის, კრიტიკას, სანეტარო რეცენზიას, სათეატრო ხელოვნებაში ბევრი რამ შეუძლია და სწორედ ესაა უმთავრესი მიზეზი, რომ კვირის წარმოდგენით „ოტელოს“ როლის შესრულებით ბ-ნ იმედაშვილის მიერ ბევრი დაინტერესდა, წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო და ამითი ბევრი მათგანი მოაკლდა იმ „ფინჯან ჩაის“, რომელიც ამ საღამოსვე იყო დანიშნული სიმპატიურის მიზნით აჭარლების სასარგებლოთ.

ჩვენც დაგვაინტერესა ამ წარმოდგინამ. და გვინდა მხოლოდ ჩვენის, უბრალო თვალთა-ხედვის ისრით შევხედოთ და გავზომოთ ეს ახალი, შრომა ბ-ნ იმედაშვილისა.

როდესაც ტრაგედია დასრულდა, ჩვენს თავს საბოლოო კითხვა მივეცით, შეესაბამება თუ არა ბატონი კასრაძის დიდი ქება ბ. ნ იმედაშვილის ნიჭიერ თამაშს?—ამ შემთხვევაშიაც, მიპასუხა ჩემმა გრძნობამ, მართლდება ჩვენში ყოვლად ცნობილი ნაკლულევანება. ეს ნაკლულევანება—კი გახლავთ ზომა ჩვენს ყოველგვარ შეფასებაში. თუ მოგვეწონა ვინმე ავსწევთ, ავამაღლებთ, მთის მწვერვალზე ავსვამთ, ხოლო თუ დავიწუნეთ, დავსწევთ, დავადაბლებთ, ქვესკნელს გავატარებთ.

ხშირად, ძალიან ხშირად, ნებსით თუ უნებლიეთ ვღალატობთ ხოლმე სინამდვილეს.

ზომიერება კი ყველაფრის მორალია. იგი არც მეტი და არც ნაკლები არ უნდა იხმაროთ, ხოლო კრიტიკის დროს დიდი პროპორციონალობის დაჭერა გვმართებს.

ჩვენ გვგონია, რომ ბ-ნი იმედაშვილი ზედმეტათ დადაფნულია, ან ჩვენი ტერმინით რომ ვსთქვათ, დამარილებულია ცნობილი კრიტიკოსის მიერ.

რომ ბ-ნი იმედაშვილი ბუნებრივას ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზდა მსახიობია, ეს ყველამ კარგათ ვიცით. მის თამაშში, როდესაც მსახიობს რაიმე გარეგანი ხელის შემშლელი მიზეზი არ ბორკავს, მუდამ ამჩნევთ ხელოვნების ნაპერწკლებს და კმაყოფილდებით. განსაკუთრებით ენათესავება ამ მსახიობს პსიხოლოგიური და აღგზნებული პიროვნების განსახიერება.

ოტელოს როლში მისმა ნიჭმა ჰპოვა საკმაო წმინდა და ნათელი გამოხატულება.

ოტელო რთული პიროვნებაა. იგი ერთსა და იმავე დროს მრავალი ღირსებითაცაა შემკული და მრავალი ნაკლულევანებითაც.

იგი არის მრისხანე და უშიშარი მეომარი და ამასთან ერთად ეჭვის მონა და მისი მსხვერპლი. იგი გრანდიოზული გამოხატულებაა ადამიანის ამ ორი დიდი თვისებისა და ჩვენ არა გვგონია რომ ბ-ნმა იმედაშვილმა სავსებით სძლია ამ სიძნელეს.

ოტელო ბრძოლის შვილია, თვით ბრძოლა და ქარტეხილი, მას არ მოეპოება, არც უსწავლია ტკბილი სიტყვა, მას არ ძალუძს „გასაგების“ ენით ლაპარაკი, გამოსთქვას სულის ტანჯვა, გულის მწუხარება, და როდესაც იგი იტანჯება მტანჯველი ეჭვის საწამლავით მისი სახე, თვალების გამონაკვესი, ტუჩების მოძრაობა მეტს უნდა მეტყველობდნენ ვიდრე მისი სიტყვები. ბ-ნ იმედაშვილს ეს მხარე უფრო ნაკლებ აქვს შემუშავებული.

სულიერ ტანჯვის დროს ორ უმთავრეს სცენაში მესამე და მეოთხე მოქმედებაში, მსახიობმა სულიერ ტანჯვაზედ მაღლა გარეგანი მოქმედება დასახა მიზნათ და ამით ბევრ თვალსაჩინო ადგილს შეუმცირდა ღირსება. ბ-ნი იმედაშვილი მეტად ხშირად შლიდა თავგანწირულად ხელებს, ამას მიუმატეთ წინ და უკან სცენაზედ სირბილი, თავზედ მკლავების შემოჭერა, და ერთგვარი წმაწნა.გრეხა... ყოველივე ეს მაყურებელს უფრო გოგოლის ცნობილ სცენას „შეშლილის წერილებს“ აგონებს ვიდრე ოტელოს სულის ტანჯვას, გულის კაეშანს. აქ მსახიობს მართებს დიდი სიფრთხილე, რომ მისმა გარეგანმა მოქმედებამ არ დაჩრდილოს ოტელოს სულიერი ტალღის ბობოქრობა.

შემდეგ სურათში-კი ჩვენ წინაალმდეგს ვხედავთ. აქ ოტელო—იმედაშვილი სრული გაპიროვნებაა სინამდვილისა. იგი ჩასცქერის დეზდემონას გამომცდელის თვალებით... დაუგდეთ მის გესლიან ხმას ყური, დააკვირდით მის სახეს, თვალების ელვარებას, ტუჩების მოძრაობას, ან ყოველ მოქმედებას ამ სურათისას და თქვენ იცნობთ ოტელოს ბუნებას...

ჩვენის აზრით, ზოგი ოტელო უნდა იყოს შავი და არა წაბლისფერი, როგორც ბ-ნი იმედაშვილი გვ-ჩვენა. მის შავ სახეს უნდა აელვარებდეს დიდრონი თეთრი თვალები, მის ხუჭუჭ თმას და ყურებს ამკობდეს რაიმე ნიშანდობლივი მძივი ინდოეთისა, მისი სქელი ტუჩები უნდა იყვნენ სამხრეთის მხურვალე გაზის სხივებით დამწვარი და წითლად მოლაპლაპე.

ვერაფერი ამისი მსგავსი ჩვენ ალ. იმედაშვილის ოტელოში ვერ შევნიშნეთ.

პიესამ იშვიათის სისუსტით ჩაიარა.

აღსანიშნავია იაგო. ეს მეტად მძიმე და დიდი როლი მხოლოდ კარგი მსახიობის საქმეა. ამ საღამოს ეს როლი ეპყრა ხელში კარგს მსახიობს როგორც არის ბ-ნი შალიკაშვილი, მაგრამ სამწუხაროდ ამ მსახიობს ეს როლი პიესის დასაწყისშივე ხელიდამ გაუვარდა და... თუმცა სრულიად არ დამტვრეულა, მაგრამ იმდენათ დაზიანდა რომ მისი გამომთელება აღარ მოხერხდა.

პიესის დასაწყისშივე გამოაჩნდა ბ-ნ შალიკაშვილს როლის უცოდინარობა. შედეგი-კი მეტათ თვალნათელი გამოდგა. რაც უნდა გამოცდილი და ნიჭიერი მსახიობი იყოს, როლის უცოდინარობა თავის ბეჭედს დაასვავს. ასე დაემართა ბ-ნ შალიკაშვილის იაგოს. ვერ უშველა მას მსახიობის კარგმა სახელმა და როლი დამარცხებული შეიქნა.

მგრძნობიარე დეზდემონა იყო ქ-ნი მარო მდივანი, მაგრამ გაგვაკვირვა ემილიას როლში ქ-ნმა ჯავახიშვილისამ. ამ მსახიობ ქალს მთელს პიესაში სულ ოცი სიტყვა აქვს სათქმელი დრამის დასასრულს, და იმდენი მოუმზადებლობა გამოიჩინა, რომ ტრაგედიის ცეცხლით ანთებულ სცენას ცივი წყლის წვეთები დაასხურა. არ ეპატიება გამოცდილ მსახიობს, ამგვარი დიდი სცენის აღსრულების დროს, ათი სიტყვის წარმოთქმაში ამდენი გაჭირვება და პაუზები. ბევრს, თვალებზე მომდგარი ცრემლი უადგილოდ შეაშრო ქ-ნ ჯავახიშვილის თამაშმა.

აღსანიშნავი არიან ბ-ნ მურუსიძე—კასიოს როლში. ბ-ნნი ბარველი და ყალაბეგიშვილი.

როგორცა სჩანს თქვენს თეატრში წესიერების დამყარება შეუძლებელია.

ახალგაზდობა, ბალკონ—ქანდარიდამ, რომელიც ერთ შემთხვევაში ყვავილებს ესვრის სცენაზე მსახიობს და მეორე შემთხვევაში-კი შეუწყნარებელ წინდაუხედავად იქცევა მით, რომ მთავარ დრამატიულ მომენტებში უწესოდ იჭერს თავს. ასეთ ახალგაზდობას ხელოვნების არა გაეგება რა, და უნდა ახსოვდეთ რომ მათი გადასროლილი ვარდ—ყვავილები მსახიობის პატივსაცემლად, ყოველგვარ ფასსა და მნიშვნელობას მოკლებულია, თუ ამავე დროს მსახიობს უფუჭებ შრომის ნაყოფს, და მის მიერ შექმნილ დრამატიულ სულისკვეთებას უადგილო ჭყივილით, ან უმწიფრის წამოძახილით ეგებები, როგორც ეს მოხდა სამწუხაროდ ოტელოს უკანასკნელ სურათის ასრულების დროს...

**ჯაფარ—ფაშა.**

# დაბა-სოფლები.

**ს. კვახშიეთი.** (ზვარეთის საზოგად.). ზვარეთის საზოგადოება ახლო მახლო მდებარე სოფლებთან შედარებით დაწინაურებულია სწავლა განათლების მხრივ. ყოველი გლეხი სცდილობს მიუხედავათ თავის უმწეო მატერიალურ მდგომარეობისა, გაგზავნოს თავისი შვილი არა თუ დაბალ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებელშიაც კი, სადაც მრავლათ მოიპოებიან აქაურ მცხოვრებთ შვილები. რასაკვირველია, ამისთანა სწავლისადმი აღჭურვილი ხალხი არ ჩამორჩებოდა სხვა სოფლებს სასწავლებლისთვის შენობის აგებაში, და 1912 წელს შეუდგენ სკოლის შენობის აგებას. ბევრი გაჭირვება შეხვდა ამ სკოლის აშენებაში ხალხს, მაგრამ ამ გაჭირვებას არაფრათ აგდებდენ, რადგანაც ნათლათ ჰქონდათ წარმოდგენილი თუ რისთვის ეწეოდენ ეგოდენ შრომას. აგრეთვე ბევრი ღვაწლი და შრომა მიუძღვის ამ შენობის აგებაში ადგილობრივ სკოლის ზედამხედველს ვლასი ა. გოცირიძეს რომელიც ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რათა კეთილათ დაგვირგვინებულიყო ეს კეთილი საქმე. კიდევაც კეთილათ დასრულდა ორსართულიანი შენობა, რომელიც შეიცავს 16 ოთახს, და რომელიც დაუჯდათ ხალხს 12,180 მანეთი. ხალხის სიხარულს საზღვარი არ ქონდა 2 ივნისს თავისი ნაშრომის ხილვით, რომელიც მოსულიყო კომისიის მოსვლის გამო, მაგრამ ერთმა შემთხვევამ კინაღამ ეს სიხარული შეუცვალა მათ სიმწუხარეთ, როდესაც კომისიამ გაათავა შენობის გადასინჯვა უცებ გაავდარდა, გავარდა მეხი, და შუაგულ შენობას დაეცა. შუა კედელი ორივე სართულის საგრძნობლათ დააზიანა. დამსწრე ხალხი ძლიერ შეშინდა და ყველანი პირქვე დაემხო.

მეტადრე ძლიერ ცუდათ იმოქმედა მეხის გავარდნის დროს მაზრის უფროსის თანაშემწე ბ-ნ ა. კვიტაშვილზე, რომელიც უგრძნობლათ იმყოფებოდა რამდენსამე ხნის განმავლობაში. კომისიამ ძლიერ მოიწონა შენობა და ჩასთვალა ნამდვილ მკვიდრ შენობათ. ვუსურვებთ ზვარეთის საზოგადოებას წინსვლას და დაწინაურებას, რომ ეს ძვირფასი შრომა ღირსშესანიშნავათ გამოეყენებიოსთ. ეს, რასაკვირელია, უპირველესად ყოვლისა, ხვედრია ადგილობრივი მასწავლებლებისა, მათზე იქნება დამოკიდებული სასწავლებლის მომავალი ბედიღბალი.

**მასწ. ა. პაპიძე.**

**ს. კციხა.** (შორაპნის მაზრა). სოფელს კიცხში ცხოვრობენ შეძლებული ვაჭრები მიხაკა და ძმა მისი კოტე მდინარაძე. ორივე ძმები ვაჭრობის გარდა მეურნეობასაც მისდევენ და ამ რიგათ ზემო იმერეთში მდიდარი კაცის სახელი აქვთ გავარდნილი. მუშტარი დუქანში ძრიელ ბევრი ეტანებათ, რადგანაც სხვადასხვა გვარი სავაჭროც აქვსთ და არც სხვა იმისთანა დუქანი მოიძებნება ახლო-მახლოში. ყაჩ ღებისაგან ბევრჯელ უნახავთ მათ სიმწარე, მაგრამ ამა ივნისის 12 რომ ნახეს, ამის მზგავსი კი არასოდეს არ განუცდიათ. ამ დღეს, ნაშუადღევის ოთხ საათზე ერთი მათგანის სახელდობრ კოტე მდინარაძის 12 წლის ვაჟი, ქ. კლასიკური გიმნაზიის მოსწავლე, ლადო, გაიტაცეს ახლო სამწყესურიდან შანტაჟისტებმა. შანტაჟისტებს ენერგიულათ დაედევნა ხარაგოულის გამოჩენილი, დახელოვნებული და მამაცი ბოქაული ბ. ესაძე თავის სტრაჟნიკებით. ვნახოთ რას იზამენ.—

**მ. ფარცხნალელი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

გთხოვთ ამ წერილს თქვენს გაზეთ „სამშობლოში“ ადგილი უბოძოთ.

პატივცემულს, ახალგაზდა ქართველ მაჰმადიან ჭაიდარ ბეგ აბაშიძეს შემდეგს მოვახსენებ პატივისცემით და თავაზით, თუმცა წერილი დაგვიანდა, მაგრამ სჯობს გვიან, ვინემ სულ არას დროს. გაუწყებთ იმასაც, თუ აქამდის ზოგს ნაწერებში მე რათა ვხმარობდი თათარს და არა ქართველ მაჰმადიანს: დასავლეთ-სამხრეთ საქართველო ოსმალეთმა დაიპყრო 1580 წ. მის მერე 1629 წ. მაისპო ათაბაგობა და დაადგინეს მერე სანჯაკათ, (სანჯაკი მაზრაზე ცოტა პატარა არის) და ოთხს სა ფაშალიკოთ. უმთავრესი ვალი ფაშა გასლდათ ახალციხისა.

დაპყრობილ ქართველებს ისლამთან დაკავშირება დაუწყეს 1640 წლებში და მის შემდეგ 1797 წლებამდე მათ მთელი ქვეშევრდომი ქართველები გაამაჰმადიანეს, ისლამის გავრცელების შემდეგ, ოსმალოს მთავრობამ სასულიერო წოდების დახმარებით განიძრახა ქართული ენის მოსპობა, ამისთვის დაიწყეს მათ შრომა და ჩვენს დრომდი მათ ბევრს ადგილას ქართველებს დაავიწყებიეს კიდეც ქართული ენა და მის მაგიერ შეახვიეს ოსმალურათ ლაპარაკს.

ასე და ამ გვარად ქართული ენა მოისპო მთლათ ყარსის გუბერნიაში, არდაგანის (არტაანი) ოლქში, ნახევარ შავშეთში, თვით ნახევარ მესხეთსა და ჯავახეთს და ბევრგან სხვა ადგილებშიც. ოსმალოს ქვეშევრდომ ქართველების ხუთმა ნაწილმა დაკარგა თავისი ენა, შეინახა ქართული ენა მხოლოდ ერთმა ნაწილმა, ესენი არიან შემდეგის ადგილების მცხოვრებნი:

ქობულეთის ქართველ მაჰმადიანები, ზეგნის, ლივანის, აჭარის, მურღულის ხეობის, იმერხევის და ზოგიც სხვა ადგილები, სადაც მეტ მიმოგზავრნია, მქონია მათთან საუბარი და ყველგან მათ პასუხათ მოკლეთ მოუგიათ, რომ თათარი ვართო. ასე იწოდებენ თავს არამც თუ მარტოდ ისინი, რომელთაც ჟამთა ვითარების წვალებით ქართული ენა დაკარგეს და დღეს ოსმალურად ლაპარაკობენ, არამედ ისინიც, რომელთაც დღემდე ქართული ენა შეინახეს.

ვერც ერთ ქართველ მაჰმადიანს ვერ ათქმევინებ, რომ იგი ქართველი მაჰმადიანია, ან გურჯი იგი მოკლედ და უცბათ გეტყვის, რომ თათარი ვარო. მეც ადვილად მიხვედრის გამო აქამდის ამ გაზეპირებულს სიტყვას ვხმარობდი.

თქვენ ვერც ერთ ქართველ მაჰმადიანს ვერ ათქმევინებთ, რომ იგი თათარი არ არის, ეს იყო მიზეზები ჩემგან „თათრის“ ხმარებისა.

ეხლა კი რაკი გონიერებამ გამარჯვება ქართველ მაჰმადიანთაგან თქვენისთანა ჭაბუკები მოგვევლინენ და მათ ... და დაიწყეს ნაციონალური მხარეების შეგნება, საუბარი და კამათი, თუ იგინი ვინ გახლავან თათარი თუ ქართველი მაჰმადიანები, ამიტომ მეც ეს კილო შევსცვალე და უკვე 5 წლიწადი მეტი იქნება მის შემდეგ გასული, რაც მე „თათრის“ მაგივრათ ქართველ მაჰმადიანს ვხმარობ.

გაზეთის განცხადებაში შეცდომით მომიხდა რომ სიტყვა „თათარი“ იქნა ხმარებული, თორემ დღეის შემდეგ ჩემს წიგნაკში ვერსად ნახავთ ამას. ყველგან ქართველ მაჰმადიანი ხმარებული. ჭეშმარიტად მოხარული ვარ, რომ ქართველ მაჰმადიანის შესახებ თქვენ ხანდისხან გულმტკივნეულათ საუბრობთ და სწერთ. იმედია, რომ ჩვენს თანაგრძნობას თქვენდამი წრფელის გულით შეხედავთ და იმაშიც დარწმუნდებით, რომ დღეის შემდეგ ჩემს წიგნებში „თათარი“ აღარ იქნება ნახმარი.

რაც შეეხება თქვენს მეორე წინადადებას დასაბეჭდ წიგნების გადასინჯვის და გაცნობის შესახებ ამაზედაც თანახმა გახლავართ და მე არც ერთს ისტორიულ წიგნს არ დავბეჭდავ უამისოდ, ნამეტურ უთქვენოდ, თორემ მოდებსა და ხოჯებში სავმარისად მცოდნენი მე არავინ მეგულება.

დიახ, ჩემი წიგნები სულ ასე იქნება განხილული, გარდა ორის წიგნისა, რომელიც ახლა უკვე იბეჭდება. ეს გახლავსთ შემდეგი: თამარ მეფე, ზეპირი ამბებით შეკრეკრებილი და „ქართველების გამაჰმადიანება“, ესეც ზეპირის ამბებით შეკრებილი, რადგანაც ეს ორი წიგნი ხალხის სიტყვიერების ნაწილს შეადგენს, ამიტომ ეს წიგნები კი დარჩებიან ისე, როგორც აქამდის გახლდათ დაბეჭდილი და დანარჩენი წიგნები კი უსათუოთ განხილულ იქნებიან ისე, როგორც თქვენ გვირჩიეთ.

**ზ. ჟ.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

დაიბეჭდა და იყიდება **კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

**„НОВОЕ СЛОВО“**

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. **ფასი ყდით 2 აბაზი.**

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა**

**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“** ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **„გაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

**უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია**

**კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში**

**ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.**

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

**— კატალოგები უფასოთ —** თ.

**ნუნისის სამკურნალო ბუნებით თბილი**

**აბანო.** აბანო ნუნისი, ანუ მუნისი, რომელიც შეუმჩნევია ხალხს, უხსოვარი დროიდან, როგორც მუნისაგან განმკურნავი უებრაი საშუალება, ჰკურნავს გასაკვირვლად ყოველნაირ კანის ავადმყოფობას და მასთან დიდ საშუალებას აძლევს ავადმყოფს სხვადასხვა სენის წინააღმდეგ. მდებარეობს შორაპნის მაზრაში, მოლითის სადგურიდან 6 ვერსის მანძილზე, მაღლობზე ნაძვნარში. სეზონი იწყება 15 მაისიდან და გრძელდება 1-ს ოქტომბრამდი.

თ. 215